ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ებ ა

დაბა ქედა

განკარგულება:**გ-95.95222731**

თარიღი:**30/09/2022**

საქართველოში ახალი კორონავირუსით (COVID-19) გამოწვეული პანდემიის გათვალისწინებით, აუქციონის ფორმით, სარგებლობის უფლებით გადაცემული მუნიციპალიტეტის ქონების მიმღების 2017 წლის 10 ნოემბრის №12 ხელშეკრულებით განსაზღვრული ფინანსური პირობების შემსუბუქებისა და პირგასამტეხლოსგან გათავისუფლების თაობაზე ქედის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

2017 წლის 10 ნოემბერს მოქალაქე ეთერ ჯიჯავაძესთან (N61008006667) ქედის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს მიერ, ელექტრონული აუქციონის ფორმით, პირობებით გაფორმებული იქნა იჯარის ხელშეკრულება (N12) დაბა ქედაში, აკაკი წერეთლის ქუჩა N1-ში მდებარე მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული შენობა-ნაგებობის (ს/კ 21.03.34.282) 79,14 კვ.მ ფართზე 10 (ათი) წლის ვადით, ხოლო წლიური საიჯარო ქირა შეადგენს 3162 ლარს.

მუნიციპალიტეტის ქონების მიმღებმა ქედის მუნიციპალიტეტის მერიას მიმართა წერილობით ზემოთაღნიშნული ხელშეკრულებით განსაზღვრული ფინანსური პირობების (საიჯარო ქირის) შემსუბუქებისა და გადაუხდელი საიჯარო ქირაზე დარიცხული პირგასამტეხლოსგან გათავისუფლების თაობაზე, იმ გარემოებების გათვალისწინებით, რომ ქვეყანაში არსებული ეპიდომოლოგიური მდგომარეობიდან გამომდინარე, ეკონომიკური საქმიანობა და დახურულ სივრცეში პირთა სიმრავლე/ყოფნა შეზღუდული იყო, ასევე მის მიერ წარმოებული სამკერვალო ნაწარმის ბაზარზე, რეალიზაციაში წარმოქმნილი სიძნელეების გამო, შეექმნა ფინანსური პრობლემები და ვეღარ ახერხებს საქმიანობის გაგრძელებას. შესაბამისად აქედან გამომდინარე აღნიშნული საქმიანობა და არსებული ბიზნესი დღეის მდგომარეობით ურთულეს მდგომარეობაშია.

აქედან გამომდინარე ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიზანშეწონილად მიაჩნია საქართველოში ახალი კორონავირუსით (COVID-19) გამოწვეული პანდემიისა და ზემოთაღნიშნული გარემოების გათვალისწინებით, ელექტრონული აუქციონის ფორმით, სარგებლობის უფლებით გადაცემული მუნიციპალიტეტის ქონების მიმღების (ეთერ ჯიჯავაძე) 2017 წლის 10 ნოემბერს დადებული №12 ხელშეკრულებით განსაზღვრული ფინანსური პირობების შემსუბუქებისა და ხელშეკრულებით განსაზღვრული პირგასამტეხლოსგან გათავისუფლების შესახებ გადაწყვეტილების მისაღებად ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობის მიცემა ქედის მუნიციპალიტეტის მერისათვის, რათა მუნიციპალიტეტის ქონების მიმღებმა (ეთერ ჯიჯავაძე) მოახერხოს ფინანსური და ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება და არსებული საქმიანობის შემდგომი გაგრძელება.

ყოველივე ზემოაღნიშნული გარემოების გათვალისწინებით, საქართველოს ორგანული კანონი ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.ე“ ქვეპუნქტისა და 163^4-ე მუხლის შესაბამისად, ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:**

1. საქართველოში ახალი კორონავირუსით (COVID-19) გამოწვეული პანდემიის გათვალისწინებით, ელექტრონული აუქციონის ფორმით, სარგებლობის უფლებით გადაცემული მუნიციპალიტეტის ქონების მიმღების - მოქალაქე ეთერი ჯიჯავაძის (პირადი №61008006667, დაბ.

01.09.1953, პასპორტის №დ0453263, იურიდიული მისამართი - საქართველო, ქედა, დაბა ქედა რუსთაველის ქ. №18,) 2017 წლის 10 ნოემბერს დადებული №12 ხელშეკრულებით განსაზღვრული ფინანსური პირობების შემსუბუქების შესახებ, კერძოდ: ნაწილობრივ 2020 წლის დარჩენილი გადაუხდელი წლიური საიჯარო ქირის 550 (ხუთას ორმოცდაათი) ლარის, 2021 წლის წლიური საიჯარო ქირის 3162 (სამი ათას ას სამოცდაორი) ლარის გადახდისგან გათავისუფლების, ასევე 2022 წლის საიჯარო ქირის (3162 (სამი ათას ას სამოცდაორი ლარის)) 50%-ის ოდენობამდე შემცირებისა და გადაუხდელ საზღაურზე (საიჯარო ქირაზე) დარიცხული ხელშეკრულებით განსაზღვრული პირგასამტეხლოს (რომელიც შეადგენს გადაუხდელი საზღაურის 0.1% დარღვევის დღიდან ყოველ ვადა გადაცილებულ დღეზე) გადახდისგან გათავისუფლების თაობაზე მიეცეს თანხმობა ქედის მუნიციპალიტეტის მერს (როლანდი ბერიძე).

2. მიღებული განკარგულების შესახებ ეცნობოს ქედის მუნიციპალიტეტის მერს.

3. განკარგულების დაინტერესებულ მხარეთათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობა უზრუნველყოს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსმა - მუხრან სალაძემ.

4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარეების მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. ბათუმი ფრიდონ ხალვაშის გამზირი №358).

5. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ამირან ცინცაძე

საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი